ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N16

ქ. თბილისი იანვარი 2024 წ.

ერთის მხრივ, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ბორის თაყაიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „საქართველოს ფოსტა“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი კომერციული დეპარტამენტის უფროსის მერი ბასილაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2024 წლის 15 იანვრის № 166-ის თანხმობიდან გამომდინარე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე: **(SMP240000075)**

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

1.1. **საფელდეგერო მომსახურება** - საფელდეგერო სამსახურის მიერ სახელმწიფო მნიშვნელობის გზავნილის მიღება და უსაფრთხოდ, დაცულად, დაუზიანებლად და ოპერატიულად ჩაბარება ადგილზე ადრესატისათვის, წინასწარ შემუშავებული დახურული მარშრუტით;

1.2. **საფელდეგერო გზავნილი** - გრიფით „სამსახურეობრივი“, „საიდუმლო“, „სრულიად საიდუმლო“ ან/და „განსაკუთრებული მნიშვნელობის“ გზავნილი. სამსახურებრივი მნიშვნელობისა და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული კორესპონდენცია ან/და ამანათი, რომელიც განკუთვნილია საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სხვა სახელმწიფო ორგანოებისათვის, სასამართლოებისა და ნებისმიერი სხვა ორგანიზაციის, იურიდიული ან/და ფიზიკური პირისათვის.

1.3. **სტანდარტული საფელდეგერო გზავნილი** - საფელდეგერო გზავნილი, რომლის ადრესატისათვის ჩაბარების მიზნით მიმწოდებლის მიერ ვიზიტი ხორციელდება საფელდეგერო გზავნილის მისთვის გადაცემის მომდევნო სამუშაო დღიდან:

- 1 (ერთი) – 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, გარდა მაღალმთიან რეგიონებსა და სხვა შესაბამის მუნიციპალურ ერთეულებზე დამისამართებული საფელდეგერო გზავნილებისა, რომელთა ჩაბარება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების N2 დანართით განსაზღვრულ ფიქსირებულ/კონკრეტულ სამუშაო დღეს/დღეებში;
- **სასწრაფო საფელდეგერო გზავნილი** - საფელდეგერო გზავნილი, რომელზეც შემსყიდველის მიერ მიეთითება სიტყვა „სასწრაფო“ და რეესტრში შესაბამის ადგილზე მიეთითება მისი ჩაბარების რეჟიმი - „სასწრაფო“. ამასთან, სასწრაფო საფელდეგერო გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარების მიზნით მიმწოდებლის მიერ ვიზიტი ხორციელდება საფელდეგერო გზავნილის მისთვის გადაცემიდან:
- 4 (ოთხი) საათში - თუ გამგზავნისა და ადრესატის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი;
- იმავე სამუშაო დღეს - თუ გამგზავნისა და ადრესატის ადგილსამყოფელია ერთი და იგივე ქალაქი;
- მე-2 სამუშაო დღეს - მიუხედავად იმისა, თუ რომელ მუნიციპალურ ერთეულში იმყოფებიან გამგზავნი და ადრესატი.

სასწრაფო საფელდეგერო გზავნილის მომსახურების ვადები არ ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მაღალმთიან რეგიონებზე დამისამართებულ ან/და გამოსატან საფელდეგერო გზავნილებზე.

1.4. **ადრესატი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, ვისზეც დამისამართებულია საფელდეგერო გზავნილი;

1.5. **გამგზავნის ადგილი/მისამართი** - შემსყიდველის ადგილი/ზუსტი მისამართი: ქ. თბილისი, ქავთარაძის ჩიხი #2, საიდანაც მიმწოდებელმა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად უნდა მიიღოს საფელდეგერო გზავნილი;

1.6. **გამგზავნი** - შემსყიდველის სახელით მოქმედი და საიდუმლო საქმისწარმოებაზე დაშვების მქონე პირი;

1.7. **სამუშაო დღე** – ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის სამუშაო დღედ განისაზღვრება:

- სტანდარტული საფელდეგერო გზავნილებისთვის - კალენდარული დღის 8 საათიანი ინტერვალი, გარდა შაბათ-კვირისა და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსითა“ და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული უქმე დღეებისა;
- სასწრაფო საფელდეგერო გზავნილებისთვის - კალენდარული დღის 8 საათიანი, ხოლო შაბათს - მხოლოდ ქალაქ თბილისში ჩასაბარებელი გზავნილებისთვის - 4 საათიანი ინტერვალი, გარდა კვირისა და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსითა“ და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული უქმე დღეებისა.

1.8. **სამუშაო საათი** - ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის სამუშაო საათად განისაზღვრება სამუშაო დღის შემდეგი

დრო:

- ქ. თბილისის მასშტაბით - ორშაბათი-პარასკევის ჩათვლით - 10.00 სთ-დან 16.30- სთ-მდე;
- სასწრაფო საფელდეგერო გზავნილებისთვის ორშაბათი-პარასკევის ჩათვლით - 10.00 სთ-დან 16.30- სთ-მდე, აგრეთვე 17:00 სთ-დან 18:30 სთ-მდე (მორიგე ეკიპაჟისთვის); შაბათს - 10.00 სთ-დან 12:00 სთ-მდე;
- დანარჩენ ტერიტორიაზე - ორშაბათი-პარასკევის ჩათვლით 10.00 სთ-დან - წინამდებარე ხელშეკრულების N2 დანართში აღნიშნულ დრომდე.

1.9. **მუნიციპალური ერთეული** - საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და „მუნიციპალიტეტების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 09 აგვისტოს №36 ბრძანების შესაბამისად განსაზღვრული ტერიტორიული ერთეული, რომელთა რეესტრიც განთავსებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე http://mreg.reestri.gov.ge/.

1.10. **მაღალმთიანი რეგიონი** - ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის, მაღალმთიანი რეგიონებია: მესტია, ლენტეხი, ცაგერი, ონი, ამბროლაური, სტეფანწმინდა, ბარისახო, წალკა, ხულო, ნინოწმინდა, შუახევი, ქედა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და დადგენილი საფასურის გადახდის სანაცვლოდ, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის საფელდეგერო მომსახურების გაწევა საქართველოს ტერიტორიაზე. (CPV64100000).

მუხლი 3. მომსახურების გაწევისა და საფელდეგერო გზავნილის ჩაბარების წესი

3.1. საფელდეგერო მომსახურების მისაღებად შემსყიდველი ტელეფონის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა მიმწოდებლის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას, სამუშაო საათების განმავლობაში ატყობინებს მიმწოდებელს მომსახურების მიღების სურვილის თაობაზე. შეტყობინება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ჩაბარების რეჟიმის (სტანდარტული ან სასწრაფო) თაობაზე.

3.2. სტანდარტული საფელდეგერო გზავნილის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა გამოცხადდეს გზავნილის მიღების ადგილზე და უზრუნველყოს შემსყიდველისაგან საფელდეგერო გზავნილის მიღება.

3.3. სასწრაფო საფელდეგერო გზავნილის შემთხვევაში მიმწოდებელი გზავნილის მისაღებად ცხადდება მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ვადის განმავლობაში.

3.4. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის გამოცხადებამდე უზრუნველყოს გზავნილის დახარისხება და გასაგზავნად მომზადება, რათა არ მოხდეს მიმწოდებლის შეფერხება.

3.5. გრიფით „საიდუმლო“, „სრულიად საიდუმლო“, „განსაკუთრებული მნიშვნელობის“ გზავნილი უნდა იყოს შეფუთული მკვრივ, შუქგაუმტარ ქაღალდში და გაკერილი ჯვარედინად, რომელზეც დაწებებული უნდა იყოს ბეჭედდასმული თხელი ქაღალდი, რომლის ანაბეჭდი უნდა ემთხვეოდეს შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელებას.

3.6. თითოეული გზავნილი უნდა იქნეს ერთიმეორისაგან გამიჯნული. ამასთან, ერთი გზავნილი შეიძლება დამისამართებული იყოს მხოლოდ ერთ ადრესატზე, ერთ მისამართზე წასაღებად.

3.7. საფელდეგერო მომსახურების მიღების მიზნით შემსყიდველის მიერ გზავნილის მიმწოდებლისათვის გადაცემა ხორციელდება შესაბამისი რეესტრის საფუძველზე, რომელშიც თითოეული პაკეტის შესახებ მიეთითება:

3.7.1. გზავნილის ნომერი;

3.7.2. გრიფი;

3.7.3. ჩაბარების რეჟიმი (სტანდარტული ან სასწრაფო);

3.7.4. ქალაქი, დაბა და ა.შ., სადაც იგზავნება საფელდეგერო გზავნილი;

3.7.5. ქვედანაყოფის სრული დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

3.7.6. ადრესატის სრული დასახელება;

3.7.7. ადრესატის სრული მისამართი.

3.8. საფელდეგერო გზავნილის ჩაბარების ვადის ათვლა იწყება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისაგან გზავნილის მიღების მომდევნო სამუშაო დღიდან, გარდა სხვა მუნიციპალურ ერთეულში მიღებული და მაღალმთიან რეგიონებში ჩასაბარებელი საფელდეგერო გზავნილებისა, რომელთა ჩაბარებაც მიუხედავად ჩაბარების რეჟიმისა, განხორციელდება მხოლოდ ფიქსირებულ სამუშაო დღეებში.

3.9. სასწრაფო საფელდეგერო გზავნილის ჩაბარების ვადის ათვლა ჩერდება საქართველოს საავტომობილო გზებზე გადაადგილების დროებით შეუძლებლობის (გზის გადაკეტვა; გზებზე მომხდარი სხვადასხვა მოვლენები (ქვათაცვენა, ავარია, მოყინვა და ა.შ.) ვადით.

3.10. მიმწოდებელი მომსახურების გაწევისას ხელმძღვანელობს შემდეგი წესით:

3.10.1. მიმწოდებელმა საფელდეგერო გზავნილი ადრესატს უნდა ჩააბაროს ორგანიზაციის შემთხვევაში კანცელარიას, ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს, ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ან ორგანიზაციის შესაბამის

უფლებამოსილ პირს, რომელიც უზრუნველყოფს გზავნილის უშუალო ადრესატისთვის ოპერატიულად გადაცემას;
3.10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 3.10.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში გზავნილის ჩაბარება უნდა დასტურდებოდეს რეესტრზე ადრესატის/მიმღების გარკვევით ხელის მოწერით, ბეჭდით და მიღების თარიღისა და ზუსტი დროის მითითებით, ხოლო ბეჭდის არქონის შემთხვევაში - გარკვევით ხელის მოწერით, პირადი ნომრით და მიღების თარიღისა და ზუსტი დროის მითითებით;
3.10.3. სტანდარტული საფელდეგერო გზავნილის ჩაბარების წარუმატებელი მცდელობის (ადრესატი ადგილზე არ დახვდა) შემთხვევაში მიმწოდებელი მეორე ვიზიტს ახორციელებს მომდევნო სამუშაო დღეს, გარდა იმ საფელდეგერო გზავნილების მომსახურებისა, რომელთა ჩაბარებაც ხორციელდება ფიქსირებულ დღეს;
3.10.4. სასწრაფო საფელდეგერო გზავნილის ჩაბარების წარუმატებელი მცდელობის (ადრესატი ადგილზე არ დახვდა) შემთხვევაში მიმწოდებელი მეორე ვიზიტს ახორციელებს მომდევნო სამუშაო დღეს, გარდა მაღალმთიან რეგიონებზე დამისამართებული სასწრაფო საფელდეგერო გზავნილებისა.

მუხლი 4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი
4.1. წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის გაწეული საფელდეგერო მომსახურების კონკრეტული სახეობებისა და რაოდენობის მიხედვით წინამდებარე ხელშეკრულების N1 დანართით განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად.
4.2. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის საფელდეგერო მომსახურებისათვის წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული ღირებულების გადახდა წარმოებს ყოველი თვის ბოლოს, საანგარიშო თვეში ფაქტობრივად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშფაქტურის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. **შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირია ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი ვალიდა თურქიშვილი.**
4.3. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს **500.00 (ხუთასი) ლარს.**
4.4. სასწრაფო საფელდეგერო გზავნილის შემთხვევაში ტარიფი განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების N1 დანართით განსაზღვრული სტანდარტული საფელდეგერო გზავნილის ღირებულების ორმაგი ოდენობით, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 4.5. პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.
4.5. იმ სასწრაფო საფელდეგერო გზავნილის ტარიფი, რომლის გამოტანა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების N2 დანართით განსაზღვრული ფიქსირებული/კონკრეტული სამუშაო დღის/დღეებისგან განსხვავებულ დროს, განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების N1 დანართით განსაზღვრული სტანდარტული საფელდეგერო გზავნილის ღირებულების ოთხმაგი ოდენობით.
4.6. ანგარიშსწორება წარმოებს ლარებში, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

მუხლი 5. მიმწოდებლის უფლებები და ვალდებულებები
5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
5.1.1. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები;
5.1.2. შპს „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორის სახელზე მიწერილი მოთხოვნის საფუძველზე, მიაწოდოს შემსყიდველს საფელდეგერო მომსახურების ამსახველი დოკუმენტაციის ქსერო ასლები;
5.1.3. მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, აცნობოს შემსყიდველს მომსახურების გაწევაზე უარის თქმის საფუძველი;
5.1.4. შემსყიდველის მიერ მომსახურების შემაფერხებელი გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში განახორციელოს მომსახურება;
5.1.5. აუნაზღაუროს შემსყიდველს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლოლბის გამო მიყენებული ზიანი;
5.1.6. თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნები;
5.1.7.ხელი შეუწყოს შემსყიდველს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამოყენებაში.

5.2. მიმწოდებელს უფლება აქვს:
5.2.1. მოთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;
5.2.2. მოთხოვოს შემსყიდველს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
5.2.3. არ განახორციელოს საფელდეგერო მომსახურების გაწევა, თუ შემსყიდველს გააჩნია დავალიანება მის მიმართ ან გზავნილი არ შეესაბამება ამ ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებს;

5.2.4. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადახდა;
5.2.5. იდავოს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია;
5.2.6. კანონმდებლობით ან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას, ან შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (მათ შორის, მიმწოდებლის წარმომადგენლის დაყოვნებისას 20 წუთზე მეტი დროით, თუ ეს უკანასკნელი გამგზავნის მისამართზე გამოცხადებულია დანიშნულ დროს), უარი განაცხადოს საფელდეგერო მომსახურების გაწევაზე;
5.2.7. მოთხოვოს შემსყიდველს ამომწურავი ინფორმაცია გადარიცხული თანხების შესახებ;
5.2.8. მოახდინოს გადარიცხული თანხების ინსპექტირება;
5.2.9. შემსყიდველთან ურთიერთობებში ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით;
5.2.10. უარი განაცხადოს საფელდეგერო მომსახურების გაწევაზე ან საფელდეგერო გზავნილის მიღებაზე, თუ ერთი პაკეტი დამისამართებულია სხვადასხვა ადრესატზე ან სხვადასხვა მიტანის ადგილზე ან გზავნილში პაკეტები ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული ან გზავნილი არ აკმაყოფილებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა პირობებს;
5.2.11. უარი განაცხადოს სასწრაფო საფელდეგერო გზავნილის მიღებაზე, თუ მომსახურების გაწევა ობიექტური მიზეზის გამო შეუძლებელია;
5.2.12. უარი განაცხადოს საფელდეგერო გზავნილის მიღებაზე, თუ გასაგზავნ გზავნილში მოთავსებულია ხუთ სხვადასხვა ნომრიან დოკუმენტზე მეტი დოკუმენტი;
5.2.13. უარი განაცხადოს საფელდეგერო გზავნილის მიღებაზე, თუ მისი წონა აღემატება 10 კგ-ს.

მუხლი 6. შემსყიდველის უფლებები და ვალდებულებები

6.1 შემსყიდველი ვალდებულია:

6.1.1. გზავნილის მისაღებად დაუბრკოლებლად გაატაროს თავის შენობაში მიმწოდებლის წარმომადგენლები ან ოპერატიულად გასცეს შენობაში შესვლის მუდმივი ან დროებითი საშვი დადგენილი წესის შესაბამისად;
6.1.2. უზრუნველყოს მიმწოდებლის ავტოტრანსპორტის მის კუთვნილ ტერიტორიაზე დაუბრკოლებლად შესვლა ან ოპერატიულად გასცეს ორგანიზაციის კუთვნილ ტერიტორიაზე შესვლის მუდმივი ან დროებითი საშვი დადგენილი წესის შესაბამისად;
6.1.3. მკაცრად დაიცვას გზავნილების გაფორმების, მომზადებისა და მიმწოდებლისათვის მათი გაცემის წესი, არ დაუშვას მიმწოდებლის წარმომადგენლის მოცდენა 20 წუთზე მეტი ვადით;
6.1.4. საფელდეგერო გზავნილში არ განათავსოს ხუთზე მეტი რაოდენობის სხვადასხვა ნომრიანი დოკუმენტაცია;
6.1.5. მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ამომწურავი ინფორმაცია გადარიცხული თანხების შესახებ;
6.1.6. ხელი შეუწყოს მიმწოდებელს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამოყენებაში;
6.1.7. ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით განახორციელოს საფელდეგერო მომსახურებისათვის შესაბამისი ღირებულების გადახდა;
6.1.8. აუნაზღაუროს მიმწოდებელს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი;
6.1.9. თავის უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას საქართველოს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნები;
6.1.10. მიმწოდებელთან ურთიერთობისა და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოსაწერად გამოყოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი;
6.1.11. ხელშეკრულების გაფორმებისთანავე გამოყოს საიდუმლო საქმისწროებაზე დაშვების მქონე ორი პირი და წერილობით აცნობოს მიმწოდებელს.

6.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.2.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;
6.2.2. იდავოს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია;
6.2.3. მოითხოვოს საფელდეგერო გზავნილის უკან დაბრუნება ან ჩაბარების ამსახველი დოკუმენტაციის ქსერო ასლი დადგენილი წესით, შპს „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორის სახელზე დაწერილი ოფიციალური წერილის საფუძველზე;
6.2.4. მოითხოვოს ინფორმაცია საფელდეგერო გზავნილის ჩაბარების შესახებ, ასეთი გზავნილის გაგზავნიდან მხოლოდ 1 (ერთი) წლიან პერიოდზე;

6.2.5. მიმწოდებეთან ურთიერთობებში ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით;
6.2.6. მოთხოვოს მიმწოდებელს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა და დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად და სრულად, ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
7.2. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისა და არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დადგომის შემთხვევაში, მისი ზღვრული თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურების საერთო ღირებულებას.
7.3. საფელდეგერო მომსახურების ღირებულების დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველს დამატებით ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.
7.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან/და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.
7.5. „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ და რომელთა გათვალისწინება მხარეებს არ შეეძლოთ წინამდებარე ხელშეკრულების დადების დროს, ასევე რომელთა დადგომა, ზემოქმედების თავიდან აცილება და გადალახვა მხარეებს არ ხელეწიფებოდათ. კერძოდ: წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქება, ხანძარი, ავარია, ემბარგო, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები, ეპიდემია, პანდემია, კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს, აგრეთვე სხვა გარემოებები.
7.6. წინამდებარე ხელშეკრულების 7.4. პუნქტით გათვალისწინებული დაუძლეველი ძალის მოქმედების მთელ პერიოდში მხარეები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას, მაქსიმალურად შეამცირონ ის დრო, რომლის განმავლობაშიც შეფერხებულია ვალდებულებ(ებ)ის შესრულება.
7.7. მხარე, რომელიც მიუთითებს დაუძლეველი ძალის გარემოებაზე, თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან იმ ფარგლებში, რომლებშიც მას ხელი შეუშალეს დაუძლეველი ძალით გამოწვეულმა გარემოებებმა. ამასთან, იგი არ თავისუფლდება ამ ხელშეკრულების იმ სხვა ვალდებულებათა შესრულებისაგან, რომელთა შესრულებასაც ხელს არ უშლის დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებები.
7.8. მხარე, რომლისთვისაც დაუძლეველი ძალის დადგომის გამო ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი შეიქმნა, ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ. არასაპატიო მიზეზით შეუტყობინებლობისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში, შესაბამისი მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს დაუძლეველი ძალის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.
7.9. მხარე ვალდებულია დაუძლეველი ძალის დასრულების შესახებ წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს მეორე მხარეს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა ასეთი გარემოებების დასრულებიდან.
7.10. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 (ოცდაათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების ბედი; თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა განიხილება წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტის წესი

8.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა პრეტენზია განხილული უნდა იქნეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მხარის მიერ პრეტენზიის წერილობითი ფორმით მიღების დღიდან.
8.2. ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წყდება მხოლოდ მხარეთა შორის მოლაპარაკების შედეგად. იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მაშინ მხარეთა შორის დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტა

9.1. წინამდებარე ხელშეკრუკლება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით. ხოლო მომსახურების გაწევის ვადაა 2024 წლის 17 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**
9.2. წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

9.3. თითოეულ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე არღვევს დაკისრებულ მოვალეობებს და შესაბამისმა მხარემ განუსაზღვრა მას გონივრული ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო დამრღვევმა მხარემ ვერ უზრუნველყო დადგენილ ვადაში დარღვევის გამოსწორება.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1.წინამდებარე ხელშეკრულების დანართები ითვლება მის განუყოფელ ნაწილად და განიხილება მასთან ერთად. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ იგი შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში მომსახურების ღირებულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10.3. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

10.4. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.5. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით ძალადაკარგულად ცხადდება მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული ყველა ზეპირი მოლაპარაკება ან/და წერილობითი შეთანხმება, ან მათი ნაწილი, რომელიც ეწინააღმდეგება წინამდებარე ხელშეკრულებას.

10.6. მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულებისათვის, მხარეებმა შეიძლება დანიშნონ თავიანთი წარმომადგენლები, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ ხელშეკრულებით განსაზღვრული საკითხების გადაწყვეტას.

10.7. მხარეები ვალდებულნი არიან იხმარონ ყველა ღონე, რათა ხელშეკრულების მოშლის შედეგად არ მიაყენონ ერთმანეთს მატერიალური ზიანი.

10.8. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. მხარეთა ხელმოწერები შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის გზით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი“
შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“	შპს ,,საქართველოს ფოსტა“
ს/კ 404945164	ს/კ: 203836233
მის: ქ. თბილისი, ქავთარაძის ჩიხი №2	მის: 0100 თბილისი, ვაგზლის მოედანი 2
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“	ტელ: 2 240909
ბ/კ BAGAGE22;	ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
ა/ა GE41BG0000000544259603	ბანკის კოდი: BAGAGE22
	ანგარიშის ნომერი: GE13BG0000000123286800
გენერალური დირექტორი	
	კომერციული დეპარტამენტის უფროსი
ბორის თაყაიშვილი	მერი ბასილაშვილი

LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction

Подписано цифровой подписью: LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction
Дата: 2024.01.16 14:08:27 +04'00'

დანართი N1

საფელდეგერო მომსახურების ტარიფები

გზავნილის სახეობა	წონა	ფასი (ლარებში)
სტანდარტული საფელდეგერო გზავნილი ერთი მუნიციპალური ერთეულის ფარგლებში	0 - 500 გრ	11.50
	501-1000 გრ	18.30
	1001-2000 გრ	23.00
	ყოველ დამატებით 100 გრ-ზე	4.10
სტანდარტული საფელდეგერო გზავნილი სხვადასხვა მუნიციპალური ერთეულების ფარგლებში	0 - 500 გრ	14.90
	501-1000 გრ	21.60
	1001-2000 გრ	25.70
	ყოველ დამატებით 100 გრ-ზე	4.10

- სასწრაფო საფელდეგერო გზავნილის ტარიფი შეადგენს სტანდარტული საფელდეგერო გზავნილის ტარიფის ორმაგ ოდენობას, ხოლო იმ სასწრაფო საფელდეგერო გზავნილის ტარიფი, რომლის გამოტანა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების N2 დანართით განსაზღვრული ფიქსირებული/კონკრეტული სამუშაო დღის/დღეებისგან განსხვავებულ დროს, შეადგენს სტანდარტული საფელდეგერო გზავნილის ტარიფის ოთხმაგ ოდენობას.

,,შემსყიდველი”

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“

„მიმწოდებელი“

შპს ,,საქართველოს ფოსტა“

LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction

Подписано цифровой подписью: LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction
Дата: 2024.01.16 14:08:54 +04'00'

დანართი N2

#	მუნიციპალური ერთეულის დასახელება	სამუშაო დრო (ორშაბათი - პარასკევი)	სტანდარტული საფელდეგერო გზავნილების ჩაბარებისა და გამოტანის დღეები
1	ქუთაისი	16.00	ყველა სამუშაო დღე
2	ბათუმი	16.00	ყველა სამუშაო დღე
3	რუსთავი	16.00	ყველა სამუშაო დღე
4	ფოთი	16.00	ყველა სამუშაო დღე
5	ზუგდიდი	16.00	ყველა სამუშაო დღე
6	სტეფანწმინდა	13:00	ხუთშაბათი
7	მცხეთა	16.00	ყველა სამუშაო დღე
8	თიანეთი	15.30	ორშაბათი; ოთხშაბათი და პარასკევი
9	დუშეთი	16.00	ორშაბათი; ოთხშაბათი და პარასკევი
10	ბოლნისი	15.00	ყველა სამუშაო დღე
11	თეთრიწყარო	14.30	ყველა სამუშაო დღე
12	წალკა	13.30	ხუთშაბათი
13	მარნეული	15.30	ყველა სამუშაო დღე
14	დმანისი	14.30	სამშაბათი და პარასკევი
15	გარდაბანი	16.00	ყველა სამუშაო დღე
16	თელავი	16.00	ყველა სამუშაო დღე
17	საგარეჯო	14.00	ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი
18	ყვარელი	16.00	სამშაბათი და ხუთშაბათი
19	ახმეტა	16.00	სამშაბათი და ხუთშაბათი
20	გურჯაანი	15.00	ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი
21	სიღნაღი	16.00	ყველა სამუშაო დღე
22	დედოფლისწყარო	15.30	სამშაბათი და ხუთშაბათი
23	ლაგოდეხი	14.00	ოთხშაბათი და პარასკევი
24	გორი	16.00	ყველა სამუშაო დღე
25	კასპი	15.00	ორშაბათი; ოთხშაბათი და პარასკევი
26	ქარელი	16.00	სამშაბათი და ხუთშაბათი
27	ხაშური	16.00	ყველა სამუშაო დღე
28	ბორჯომი	15.30	სამშაბათი და ხუთშაბათი
29	ახალციხე	16.00	ყველა სამუშაო დღე
30	ახალქალაქი	14.00	ორშაბათი; ოთხშაბათი და პარასკევი
31	ასპინძა	15.00	ორშაბათი; ოთხშაბათი და პარასკევი
32	ადიგენი	16.00	სამშაბათი და ხუთშაბათი
33	ნინოწმინდა	13.30	ოთხშაბათი
34	თერჯოლა	16.00	ორშაბათი; ოთხშაბათი და პარასკევი
35	საჩხერე	16.00	ორშაბათი; ოთხშაბათი და პარასკევი
36	სამტრედია	16.00	ორშაბათი; ოთხშაბათი და პარასკევი
37	ხარაგაული	16.00	ორშაბათი; ოთხშაბათი და პარასკევი
38	ხონი	16.00	ორშაბათი და პარასკევი
39	ჭიათურა	16.00	ორშაბათი; ოთხშაბათი და პარასკევი
40	წყალტუბო	16.00	ყველა სამუშაო დღე
41	ტყიბული	15.30	სამშაბათი და ხუთშაბათი
42	ვანი	16.00	ორშაბათი; ოთხშაბათი და პარასკევი
43	ზესტაფონი	16.00	ორშაბათი; ოთხშაბათი და პარასკევი
44	ბაღდათი	16.00	ორშაბათი; ოთხშაბათი და პარასკევი
45	ამბროლაური	14.30	სამშაბათი და ხუთშაბათი
46	ონი	14.00	სამშაბათი და ხუთშაბათი
47	ცაგერი	14.00	სამშაბათი და ხუთშაბათი
48	ლენტეხი	13.00	სამშაბათი და ხუთშაბათი
49	აბაშა	16.00	ორშაბათი; ოთხშაბათი და პარასკევი
50	ხობი	16.00	ორშაბათი; ოთხშაბათი და პარასკევი

51	წალენჯიხა	15.00	ორშაბათი; ოთხშაბათი და პარასკევი
52	ჩხოროწყუ	15.30	ორშაბათი; ოთხშაბათი და პარასკევი
53	სენაკი	16.00	ორშაბათი; ოთხშაბათი და პარასკევი
54	მარტვილი	16.00	ორშაბათი; ოთხშაბათი და პარასკევი
55	მესტია	13.30	სამშაბათი და ხუთშაბათი
56	ქობულეთი	16.00	სამშაბათი და ხუთშაბათი
57	ხელვაჩაური	15.00	ყველა სამუშაო დღე
58	ქედა	14.00	ოთხშაბათი
59	შუახევი	13.30	ოთხშაბათი
60	ხულო	13.00	ოთხშაბათი
61	ოზურგეთი	15.30	სამშაბათი, ხუთშაბათი
62	ჩოხატაური	16.00	სამშაბათი, ხუთშაბათი
63	ლანჩხუთი	16.00	ხუთშაბათი
64	ბარისახო	16.00	სამშაბათი